

I – ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) დაალაგეთ ისტორიული პიროვნებები და მოვლენები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოების დედაქალაქები მათი დაარსების დროის მიხედვით:

1. პერსეპოლისი
2. ბაბილონი
3. ნინევი

2. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ბერძენ-სპარსელთა ომების დროინდელი ბრძოლები:

1. თერმოპილე
2. სალამინი
3. მარათონი

3. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქართველთა მიერ გადახდილი ბრძოლები:

1. გარისი
2. მურჯახეთი
3. გარნისი

4. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ასწლიანი ომის დროს გამართული ბრძოლები:

1. აზენკური
2. პუატიე
3. კრესი

5. ქრონოლოგიურად დაალაგეთ საფრანგეთის რევოლუციის დროს მომხდარი მოვლენები:

1. თერმიდორული გადატრიალება
2. საფრანგეთის ნაციონალური კონვენტის არჩევა
3. იაკობინელთა დიქტატურა

6. ქრონოლოგიურად დაალაგეთ რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ზავები:

1. ბუქარესტის
2. სან-სტეფანოს
3. ადრიანოპოლის

II - შეცდომის პოვნა და შესწორება

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ მოსწავლის მიერ დაწერილი ტექსტები, რომლებშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები. თქვენ გევალება შეცდომების პოვნა და მათი შესწორება. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ 1 ქულით შეფასდება ნაპოვნი შეცდომა მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად.

7. ინგლისის პარლამენტი

ინგლისის პარლამენტი 1165 წელს შეიქმნა. ჯონ უიკლიფმა შეკრიბა მსხვილი პრელატები და ბარონები, ასევე თითოეული საგრაფოდან - 2-2 რაინდი, ხოლო დიდი ქალაქებიდან - 2-2 მოქალაქე. საბოლოო სახით პარლამენტი ინგლისში მხოლოდ XIII საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა, ჩარლზ I-ის მმართველობის დროს. ამ პერიოდში ინგლისის სამეფომ წარმომადგენლობითი მონარქიის სახე მიიღო. XIV საუკუნის I ნახევარში პარლამენტი ინგლისში ორ პალატად გაიყო: ზედა - ბარონთა და ქვედა - თემთა. პარლამენტის მთავარი ფუნქცია საგადასახადო სისტემის მოწესრიგება და სამეფო გვირგვინისათვის სუბსიდიების მინიჭება იყო. პარლამენტი ასევე აღმასრულებელ საქმიანობას ეწეოდა, სტატუტებსა და სახელმწიფო მნიშვნელობის სხვა დოკუმენტებს იღებდა.

8. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად

1453 წლის 29 მაისს სელჩუკთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ ევროპაში მათ წინააღმდეგ კოალიციის შექმნის მცდელობა გაააქტიურა. კოალიციაში მონაწილეობა აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიანებსაც უნდა მიეღოთ და ამ მიზნით საქართველოში საფრანგეთის მეფის წარმომადგენელი - ალესანდრო ბოლონიელი ჩამოვიდა. კოალიცია მაინც ვერ შედგა. XV საუკუნის 60-იან წლებში კი საქართველოში ვითარება დაიძაბა. 1463 წელს ჩხერიმელას ბრძოლაში იმერეთის ერისთავმა ბაგრატმა გიორგი VIII დაამარცხა და ქუთაისში თავი მეფედ გამოაცხადა. 1465 წელს ტაბაწყურის ბრძოლაში მანუჩარ ჯაყელმა გიორგი VIII დაატყვევა. ბაგრატმა ამით ისარგებლა და თბილისიც დაიკავა. ტყვეობიდან გათავისუფლებულმა გიორგიმ მხოლოდ ჰერეთი დაიკავა და იქ გამეფება მოახერხა. ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ ქართლისა და იმერეთის მეფე კონსტანტინე I გახდა. 1483 წელს არაღეთის ბრძოლაში კონსტანტინეს მარცხით ალექსანდრე ბაგრატის ძემ ისარგებლა და ქუთაისში თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა. საქართველო სამ სამეფოდ და ერთ სამთავროდ დაიყო. 1489 წელს ქართლის სამეფოს დარბაზმა კონსტანტინეს საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის დაწყება არ ურჩია, რაც ფაქტობრივად საქართველოს დაშლის აღიარებას ნიშნავდა.

III - ზედმეტის გამოყოფა

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია სხვადასხვაგვარი ჩამონათვალი, ტერმინები /ფაქტები /მოვლენები/ ისტორიული პირები და ა.შ. აქვე მითითებულია, რომ ამ ჩამონათვალში ერთ-ერთი ზედმეტია. აუხსენით მოსწავლეებს, თუ რა ნიშნითაა იგი ზედმეტი. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

9. როგორ აუხსნით მოსწავლეს, რატომ არის ზედმეტი პაპუნა ორბელიანის “ამბავნი ქართლისანი” მოცემულ ჩამონათვალში?

1. “მეფეთა ცხოვრება”
2. “მატიანე ქართლისა”
3. “ასწლოვანი მატიანე”
4. “ამბავნი ქართლისანი”

10. როგორ აუხსნით მოსწავლეს, რატომ არის ზედმეტი ცოტნე დადიანი მოცემულ ჩამონათვალში?

1. ზაქარია მხარგრძელი
2. ყუთლუ-არსლანი
3. შალვა ახალციხელი
4. ცოტნე დადიანი

11. როგორ აუხსნით მოსწავლეს, რატომ არის ზედმეტი ინგლისელი თომას ბეკეტი მოცემულ ჩამონათვალში?

1. ბეკეტი
2. დიდრო
3. ვოლტერი
4. რუსო

12. როგორ აუხსნით მოსწავლეს, რატომ არის ზედმეტი ბურგუნდია მოცემულ ჩამონათვალში?

1. შვაბია
2. ბავარია
3. ბურგუნდია
4. საქსონია

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული წყაროები (პირველადი და მეორადი), გაიაზრეთ ტექსტები და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. მოცემული დავალებების თითოეული კითხვა 1–დან 3 ქულამდე ფასდება.

13. ნაწყვეტი ეინჰარდის თხზულებიდან „კარლოს დიდის ცხოვრება“

იმ დროს, როდესაც ხანგრძლივი და თითქმის განუწყვეტელი ბრძოლა მიმდინარეობდა საქსების წინააღმდეგ, კარლოსმა მათთან საზღვარზე, მოსახერხებელ ადგილას გარნიზონები განალაგა, თვითონ კი გაემართა ესპანეთში დიდძალი სამხედრო ძალით. პირენეის ხეობის გადალახვის შემდგომ მას დანებდა ყველა ქალაქი და ციხესიმაგრე, რომელსაც კი მიუახლოვდა. უკან მეფე მშვიდობიანად და უდანაკარგოდ დაბრუნდა. უკანა გზაზე, პირენეის უღელტეხილზე, მცირე ხნით ბასკების ვერაგობა იწვნია. როცა კარლოსის ჯარი გაწელილი მწყობრით მიდიოდა, მთის მწვერვალზე ჩასაფრებული ბასკები ზემოდან დაესხნენ თავს რაზმს, რომელიც ბარგსა და წინ მიმავალთ იცავდა. ბასკებმა ბრძოლაში ერთიანად ამოწყვიტეს ეს რაზმი, გამარცხეს ალალი და დაბნელებისას სწრაფად გაუჩინარდნენ სხვადასხვა მხარეს. ამ წარმატებაში ბასკებს დაეხმარა იარაღის სიმსუბუქე და ადგილმდებარეობა, სადაც ბრძოლა მიმდინარეობდა. საპირისპიროდ ამისა, ფრანკებს ხელი შეუშალა მძიმე შეიარაღებამ და რთულმა ადგილმდებარეობამ. ამ ბრძოლაში, სხვა მრავალთან ერთად, დაილუპა ბრეტანის მარკის პრეფექტი რუოდლანდი (როლანდი).

კითხვები:

(1) 13.1. რომელია კარლოს დიდის ზეობის წლები?

ა. 714-741

ბ. 741-751

გ. 768-814

დ. 814-840

(1) 13.2. როდის მოხდა კარლოს დიდის იმპერატორად კურთხევა?

(1) 13.3. რომელი მოდგმის ტომებს მიეკუთვნებიან საქსები?

(1) 13.4. ესპანეთის რომელ ნაწილში ცხოვრობდნენ ბასკები?

(1) 13.5. რატომ მიდიოდა კარლოსის ჯარი „გაწელილი მწყობრით“?

(1) 13.6. რა ხერხს მიმართეს ბასკებმა ბრძოლის დროს?

(1) 13.7. რამ შეუწყო ხელი ბასკების გამარჯვებას?

(1) 13.8. რა არის ალალი?

(2) 13.9. რომელი ცნობილი ეპოსი შეიქმნა ამ ბრძოლის ერთ-ერთ გმირთან დაკავშირებით და რომელ საუკუნეში შეიქმნა ეს ეპოსი?

(1) 13.10. რომელი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნით დასრულდა კარლოსის ბრძოლა ესპანეთისთვის?

(1) 13.11. რას წარმოადგენდა წყაროს ავტორი, ეინჰარდი, კარლოსის კარზე?

(2) 13.12. რომელი სამეფოს მონარქი იყო კარლოსი და რა იყო ამ სამეფოს დედაქალაქი?

(1) 13.13. დღეს არსებულ რომელ სამ ევროპულ სახელმწიფოს ჩაეყარა საფუძველი კარლოს დიდის იმპერიის დაშლის შემდეგ?

14. ყუთლუ-არსლანის დასის სოციალური შემადგენლობა

“ორგვარადაა გაგებული ყუთლუ-არსლანის დასის სოციალური დეტერმინაციის საკითხი.

პირველი თვალსაზრისით, ყუთლუ-არსლანის დასელები დიდგვარიანი ოპოზიციონერები არიან, რომელთა მოძრაობაც მიზნად ისახავს მათი საგვარეულო ინტერესების შემდგომ გაფართოებას.

მეორე თვალსაზრისის თანახმად კი, გაფიცულები უგვარო, დაბალი სოციალური წარმოშობის, „სიმდიდრით აღზევებულნი“, ანუ მესამე წოდების წარმომადგენლები არიან და დასში არსებითად შედიან მდიდარი მოქალაქეები.

განსაკუთრებით მიუთითებენ იმ არგუმენტზე, რომ ყუთლუ-არსლანის გაფიცვის შემდეგ დაწინაურებულ პირთაგან ისეთი, როგორც იყო, მაგალითად აბულასანი, მესამე წოდების – მოქალაქეთა წრიდანაა გამოსული. ეს კი საკმარისი გარანტიაა იმის საფიქრელად, რომ თვით დასელებიც მდიდარი მოქალაქეები იყვნენ, თუმცა ყუთლუ-არსლანის გამოსვლა არ შეიძლება მივიჩნიოთ მარტოოდენ მდიდარი მოქალაქეების მოძრაობად, ვინაიდან დასელთა მოთხოვნები შეუძლებელია არ დამთხვეოდა დიდგვარიან ფეოდალთა სწრაფვას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომ ამ ჯგუფში შედიოდნენ ის დიდებულებიც, რომელთა ინტერესებიც გარკვეულ ვითარებაში ემთხვეოდა საქალაქო წრეების ინტერესებს...

ყუთლუ-არსლანის დასი მესამე წოდების წარმომადგენელთაგან რომ შედგებოდა, თითქოსდა იქიდანაც ჩანს, რომ დასი გამოდიოდა ტიპური მესამე წოდების პროგრამით. ამ უკანასკნელში მთავარი ელემენტი იყო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა. ლოკი, მონტესკიე, კონსტანი, ჰეგელი და ა. შ. ხელისუფლების დანაწილების თეორიის შემქმნელები, ყველანი მესამე წოდების ინტერესების გამომხატველნი იყვნენ...

მიუხედავად პოპულარობისა, აზრი, რომ ყუთლუ-არსლანი და მისი დასელები „სიმდიდრით აღზევებულები“, უგვაროთა, მესამე წოდების წარმომადგენლები იყვნენ, უცილობელი სახით ძნელი მისაღებია. ძნელია მაგალითად, ყუთლუ-არსლანის მდაბიო წარმოშობის წარმოდგენა მარტოოდენ თამარის ისტორიკოსის ოდიოზური გამოთქმების (ჯორი, ბიჭი) მიხედვით, ვინაიდან, თუ ამ გამოთქმებით იმის მტკიცება შეიძლება, რომ ყუთლუ-არსლანი მდაბიო წარმოშობისა იყო, იმის ფიქრიც შეიძლება, რომ ამით ავტორს, როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, უბრალოდ მიზნად ჰქონდა ყუთლუს დამცირება. ასევე ძნელია ყუთლუ-არსლანის მდაბიო წარმოშობის პირად მიჩნევა იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ გიორგი III-მ თავისი მეფობის ბოლო პერიოდში სახელმწიფო თანამდებობებზე მხოლოდ დაბალი სოციალური წარმოშობის პირები - უგვაროები დააწინაურა და

რადგან ყუთლუც მეჭურჭლეთუხუცესად ამ დროს იქნა დანიშნული, საფიქრებელია, რომ ისიც უგვარო უნდა ყოფილიყო. ... არსაიდან არაა ცნობილი, რომ გიორგი III-ის მიერ დანიშნული მოხელეები მისი მეფობის ბოლო ხანებში ყველანი უკლებლივ უგვაროები იყვნენ. ...

გარდა ამისა ის ფაქტი, რომ 1184 წელს თავიანთი პირველი გაფიცვის დროს დიდგვარიანი ოპოზიციონერები, რომლებიც უგვაროების წინააღმდეგ ილაშქრებენ, არსად არ მოითხოვენ ყუთლუ-არსლანის გადაყენებას, უფრო იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იგი არ იყო უგვარო . . . თანაც ყუთლუ-არსლანი სწორედ იმ დროს გააქტიურდა და შეეცადა ამირსპასალარი გამხდარიყო, როცა ოპოზიციონერების ბრძოლა უგვაროების წინააღმდეგ წარმატებით დასრულდა.

ყუთლუ-არსლანის დასელთა მესამე წოდებისადმი მიკუთვნება არ ხერხდება მარტოდენ მათი მეტაურის პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვითაც, ვინაიდან მისი იდეოლოგიის ძირითადი ელემენტი - ხელისუფლების დანაწილების თეორია საკმაოდ ძველია. მას იცნობდნენ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ისე როგორც შუა საუკუნეებში და ამასთანავე თავიანთ პოლიტიკურ ბრძოლაში იყენებდნენ არა მარტო მესამე წოდების, არამედ ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლებიც. მესამე წოდების განსაკუთრებული მიმართება ხელისუფლების დანაწილების თეორიასთან მხოლოდ ისაა, რომ მან ამ თეორიას დასრულებული სახე მისცა და თავისი პოლიტიკური იდეოლოგიის ძირითადი საყრდენის როლი მიანიჭა.

ერთადერთ ცნობაში, რომელიც მოგვითხრობს ყუთლუ-არსლანის გამოსვლაზე (იხ. „ისტორიანი და აზმანი“) პირდაპირ მითითებულია, რომ ყუთლუს თანაშეფიცულები იყვნენ „დიდებულები“ და, აგრეთვე „ლაშქარნი“.

ისინი, ვინც ყუთლუს დასელებს მესამე წოდების წარმომადგენლებად თვლიან, ამ მოძრაობას პროგრესულად მიიჩნევენ. მაგრამ რადგანაც ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა ეს იყო დიდგვარიანთა პოლიტიკური გაფიცვა მათი წოდებრივი პრივილეგიების გაფართოებისათვის, ეს მოძრაობა რეაქციულ ელფერს ატარებდა“.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979 წ., გვ. 304-309.

კითხვები:

(1) 14.1. მოცემულ ტექსტში არსებული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ყუთლუ-არსლანის დასელები დიდგვაროვნები იყვნენ. რა იყო ასეთ შემთხვევაში მათი მოძრაობის მიზანი?

- ა. სამეფო დარბაზის უფლებების გაფართოება
- ბ. ხელისუფლების დანაწილების იდეის განხორციელება
- გ. “სიმდიდრით აღზევებულთა” დამცრობა
- დ. საგვარეულო ინტერესების შემდგომი გაფართოება

(1) 14.2. ვინ ითვლებოდნენ უგვაროებად?

- ა. გიორგი III-ის მეფობის ბოლო პერიოდში დანიშნული მოხელეები
- ბ. თამარის მეფობის დასაწყისში დაწინაურებული პირები
- გ. დაბალი სოციალური წარმოშობის ადამიანები
- დ. ახალი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები

(1) 14.3. მოცემული ტექსტის მიხედვით, თუ კი ყუთლუ-არსლანის დასელები უგვაროები, “სიმდიდრით აღზევებულნი” იყვნენ, რა იყო ასეთ შემთხვევაში მათი მოთხოვნის მთავარი საგანი?

- ა. სააჯო კარის შექმნა
- ბ. ხელისუფლების დანაწილება
- გ. ადგილობრივი მმართველობის შეცვლა
- დ. ხელისუფლებაში უგვაროთა დაბრუნება

(1) 14.4. ტექსტის მიხედვით, რაზე მიუთითებს აბულასანის დაწინაურება?

- ა. ყუთლუ-არსლანს მხარს დიდებულებიც უჭერდნენ
- ბ. ყუთლუ-არსლანის დასში არაქართველებიც შედიოდნენ
- გ. ყუთლუ არსლანს მხარს სამღვდელოებაც უჭერდა
- დ. ყუთლუ-არსლანის დასელები მდიდარი მოქალაქეები იყვნენ

(1) 14.5. როგორია ტექსტის ავტორის პოზიცია ყუთლუ-არსლანის დასელების წარმომავლობის შესახებ?

- ა. ეკუთვნოდნენ მესამე წოდებას
- ბ. ნაწილობრივ გაზიარებულია ორივე პოზიცია
- გ. იყვნენ დიდგვაროვნები
- დ. მოსაზრება მკაფიოდ არ ჩანს

(1) 14.6. ტექსტიდან გამომდინარე, რატომ თვლის მეცნიერთა ერთი ნაწილი ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას პროგრესულად?

- ა. მათი მოთხოვნები არ ეხებოდა ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლას
- ბ. ამ დასის წევრები არ იყვნენ უგვაროები
- გ. მათი მოთხოვნები არ კვეცდა დარბაზის უფლებებს
- დ. ამ დასის წევრები მესამე წოდების წარმომადგენლები იყვნენ

(1) 14.7. რომელი ქართული წყარო უწოდებს ყუთლუ-არსლანს ჯორს და ბიჭს?

- ა. “ლაშა-გიორგის დროინდელი მემატანე”
- ბ. “ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისა”
- გ. “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”
- დ. “ასწლოვანი მატანე”

(1) 14.8. რომელმა კონკრეტულმა ფაქტმა განაპირობა გიორგი III-ის მიერ დაბალი სოციალური წარმოშობის პირების დაწინაურება?

(2) 14.9. კონკრეტულად, რომელი უგვაროების გადაყენება მოითხოვეს დიდგვარიანებმა თამარის მეფობის დასაწყისში?

(3) 14.10. რა თანამდებობები ეკავათ გადაყენებულ უგვაროებს?

(1) 14.11. რა თანამდებობა ეკავა ყუთლუ-არსლანს თამარის მეფობის დასაწყისში და რომელი თანამდებობის დაკავება სურდა?

(2) 14.12. რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა და სადაური იყო მონტესკიე?

(1) 14.13. რომელ ქვეყანაში გაჩნდა ტერმინი “მესამე წოდება”?

ინსტრუქცია

დავალემაში მოცემულია ნაწყვეტი ისტორიული წყაროდან. აპლიკანტმა უნდა აუხსნას მოსწავლეს, თუ როგორ უნდა ამოიცნოს რომელ ისტორიულ პირზე/პროცესზე/მოვლენაზეა საუბარი ტექსტში. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. მოცემული დავალების თითოეული კითხვა 1–დან 2 ქულამდე ფასდება.

15. წყარო-ამოცნობა

თქვენ მოსწავლეს გასაანალიზებლად მიეცით ქვემოთ მოტანილი ტექსტი.

„მოიწია ამირა აგარიანი ქართლად ... და ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კულად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კულსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი. და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა, და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა ... რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი. და მოადგა ციხესა ანაკოფისასა“.

მოსწავლეს უნდა დაედგინა მოქმედების განვითარების დრო და მასში მონაწილე კონკრეტული პირების ვინაობა („ამირა აგარიანი“ და „მეფენი ქართლისანი“).

მოსწავლემ ვერ შეძლო დავალების შესრულება. ის განსაკუთრებით დააბნია ტექსტში ნახსენებმა „აგარიანმა“ და „საბერძნეთმა“.

როგორ აუხსნიდით მოსწავლეს:

- (1) 15.1. რას ნიშნავს „აგარიანი“ ამ კონკრეტულ კონტექსტში?
- (1) 15.2. ვინ არის ტექსტში ნახსენები „ამირა აგარიანი“ და რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა იგი?
- (1) 15.3. ვინ არიან ტექსტში ნახსენები „მეფენი ქართლისანი“?
- (2) 15.4. რომელი სახელმწიფო იგულისხმება „საბერძნეთის“ ქვეშ და რატომ მოიხსენიება იგი ამგვარად?

VI - მოსწავლის ნაშრომის შეფასება

ინსტრუქცია

ამ დავალების შესასრულებლად გეძლევათ: 1) მოსწავლისათვის გასაანალიზებლად მიცემული ტექსტი (ისტორიული წყარო) და კითხვები; 2) მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები; 3) შეფასების სქემა, რომელიც უნდა გამოიყენოთ მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების შესაფასებლად. ყურადღებით გაეცანით ისტორიულ წყაროს, დასმულ შეკითხვებს და მოცემული შეფასების სქემის მიხედვით, შეაფასეთ მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

16. 1) მოსწავლეს გასაანალიზებლად მიეცა „სალიკური სამართლის“ ქვემოთ მოცემული ტექსტი და კითხვები.

სალიკური სამართალი¹

1. ის პირი, რომელიც მოიპარავს სამ ან მეტ ღორს, 35 სოლიდით² დაჯარიმდება, ამაში არ შედის მოპარულის ღირებულება და ზარალის ანაზღაურება.
2. თუ პირი მოიპარავს ხარს ან ძროხას ხბოსთან ერთად, 35 სოლიდით დაჯარიმდება.
3. თუ პირი მოიპარავს ან მოკლავს მამებარ, გაწვრთნილ ძაღლს, 15 სოლიდით დაჯარიმდება.
4. თუ პირი მოიპარავს ფუტკრის ერთ სკას სასახლიდან და მხილებულ იქნება დანაშაულში, 45 სოლიდით დაჯარიმდება.
5. თუ პირი მოიპარავს მონას, ცხენს ან სხვა შინაურ ცხოველს, 30 სოლიდით დაჯარიმდება.
6. თუ პირი სხვისი ყანიდან მოიპარავს სელს და ცხენით ან ურმით წაიღებს, 15 სოლიდით დაჯარიმდება, ამაში არ შედის მოპარულის ღირებულება და ზარალის ანაზღაურება.
7. თუ პირი წისქვილში სხვის პურს მოიპარავს, მეწისქვილეს 15 სოლიდს გადაუხდის, ხოლო პურის მფლობელს ასევე 15 სოლიდს უხდის.
8. თუ პირი თავისუფალ გოგონას მოკლავს, 300 სოლიდით დაჯარიმდება, ხოლო თუ ბიჭს - 600 სოლიდით.
9. თუ პირი მოკლავს გრაფს, 600 სოლიდით დაჯარიმდება.

¹ „სალიკური სამართალი“ შეიქმნა სალიელი ფრანკების მიერ V-VI სს-ის მიჯნაზე.

² სოლიდი - ოქროს მონეტა.

10. თუ პირი გადაწვავს სხვის სახლს დამხმარე შენობებითურთ, 63 სოლიდს გადაიხდის.
11. მიწაზე საკუთრება არცერთ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს მემკვიდრეობით ქალს, მთელი მიწა მამაკაცს უნდა ერგოს.

მოცემულ ტექსტთან დაკავშირებით მოსწავლეს დაუსვეს ქვემოთ მოცემული 7 კითხვა. გაითვალისწინეთ, რომ პირველ ექვს კითხვაზე მას პასუხები უნდა გაეცა მხოლოდ ტექსტში არსებული ინფორმაციის მიხედვით, ხოლო მეშვიდე კითხვაზე გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება.

მოსწავლისათვის დასმული კითხვები:

- 16.1. მაქსიმალურად დეტალურად ჩამოთვალეთ მეცხოველეობის რომელი კონკრეტული დარგები იყო განვითარებული ფრანკებში?
- 16.2. მეცხოველეობის გარდა, სოფლის მეურნეობის კიდევ რომელი დარგი იყო განვითარებული ფრანკებში?
- 16.3. სოფლის მეურნეობის გარდა, კიდევ რა ეკონომიკურ საქმიანობას ეწეოდნენ ფრანკები?
- 16.4. რა სახის უთანასწორობა არსებობდა ფრანკთა სამეფოში? დასაბუთების მიზნით მიუთითეთ შესაბამისი ერთი მუხლი მაინც.
- 16.5. რომელი სოციალური ფენები არსებობდა ფრანკთა სამეფოში?
- 16.6. აღნიშნულ სამართალში ადამიანის დასჯის რა სახის მექანიზმია გამოყენებული?
- 16.7. თქვენი აზრით, რატომ არ ითვალისწინებს სალიკური სამართალი ადამიანის სიკვდილით დასჯას?

2) მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:

- 16.1. მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობა, მეჭოგეობა, მელორეობა, მუცხვარეობა.
- 16.2. მიწათმოქმედება, მშენებლობა, მრეწველობა.
- 16.3. მეფრეცხეობას, სიღისე დამუშავებას მისდევდნენ ფხანტყნო.
- 16.4. ქაღისა და მამახაცის არათანასწორობებიანობა; წოდებათა, ხელის ნიშნით განსხვავებულობა რაც ჩანს მე-8, მე-9 და მე-11 მოხტეგში.
- 16.5. გლეხობა; მუშათა ხელის; გრაფობა, ახისცოტხაღია.
- 16.6. ფოტადი ხარობა; ფუტადი სახით უონწინსირება.
- 16.7. ფრანტყნო სახეობა შეშწყნარბტყრ, დობიეხ პოციციტას აცაიგბდნენ. ამასთანავე მათთვის მთავარი მომგებიანი ანაწდაუტყის მიღება იყო.

3) შეფასების სქემა, რომელიც უნდა გამოიყენოთ მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების შესაფასებლად:

დავალება 16.1	მეცხოველეობის თითოეული დარგი 1 ქულით ფასდება. პასუხების ფურცელში აუცილებლად აღნიშნეთ მოსწავლის მიერ გაცემული რომელი კონკრეტული პასუხი (პასუხები) შეაფასეთ.
დავალება 16.2	სოფლის მეურნეობის თითოეული დარგი 1 ქულით ფასდება. პასუხების ფურცელში აუცილებლად აღნიშნეთ მოსწავლის მიერ გაცემული რომელი კონკრეტული პასუხი (პასუხები) შეაფასეთ.

³ აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები შესაძლოა ზუსტად იმ სახის არ იყოს, როგორც ეს შეფასების სქემაშია მოცემული. თუმცა მოსწავლეს შეიძლება თავისი სიტყვებით იგივე შინაარსის პასუხი ჰქონდეს გაცემული. ყურადღება მიაქციეთ მოსწავლის პასუხის შინაარსობრივ (არსებით) და არა მისი პასუხის ზუსტ გარეგნულ (ფორმალურ) მხარეს.

დავალება 16.3	ეკონომიკური საქმიანობის თითოეული ტიპი 1 ქულით ფასდება. პასუხების ფურცელში აუცილებლად აღნიშნეთ მოსწავლის მიერ გაცემული რომელი კონკრეტული პასუხი (პასუხები) შეაფასეთ.
დავალება 16.4	თითოეული უთანასწორობა, შესაბამისი მუხლის ჩვენებით, 1 ქულით ფასდება. პასუხების ფურცელში აუცილებლად აღნიშნეთ მოსწავლის მიერ გაცემული რომელი კონკრეტული პასუხი (პასუხები) შეაფასეთ.
დავალება 16.5	თითოეული სწორად დასახელებული სოციალური ფენა 1 ქულით ფასდება. პასუხების ფურცელში აუცილებლად აღნიშნეთ მოსწავლის მიერ გაცემული რომელი კონკრეტული პასუხი (პასუხები) შეაფასეთ.
დავალება 16.6	სწორად დასახელებული დასჯის მექანიზმი 1 ქულით ფასდება.
დავალება 16.7	ნებისმიერი ლოგიკური არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას 1 ქულით ფასდება.

სწორი პასუხები

I. ქრონოლოგიის განსაზღვრა, ყოველი დაგალება 1 ქულით ფასდება.

1. – 2 3 1
2. – 3 1 2
3. – 3 2 1
4. – 3 2 1
5. – 2 3 1
6. – 1 3 2

II. შეცდომის პოვნა და შესწორება

7. სულ 5 ქულა; ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი, წყვილი - 1 ქულით ფასდება.

არის	უნდა იყოს
1. 1165	1265
2. ჯონ უიკლიფი	სიმონ დე მონფორი
3. ჩარლზ I	ედუარდ I
4. ბარონთა	ღორდთა
5. აღმასრულებელ	საკანონმდებლო

8. სულ 9 ქულა; ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი, წყვილი - 1 ქულით ფასდება.

არის	უნდა იყოს
1. სელჩუკები	ოსმალები
2. საფრანგეთის მეფის	რომის პაპის
3. ალესანდრო	ღუდოვიკო
4. ჩხერიძელა	ჩიხორი
5. ტაბაწყური	ფარავანი
6. მანუჩარ	ყვარყვარე
7. ჰერეთი	კახეთი
8. კონსტანტინე I	კონსტანტინე II
9. 1489	1490

IV. ისტორიული წყაროს ანალიზი

13. სულ 15 ქულა

- 13.1. გ - 1 ქულა
- 13.2. 800 წ. - 1 ქულა
- 13.3. გერმანული - 1 ქულა
- 13.4. ჩრდილოეთ - 1 ქულა
- 13.5. გზის რელიეფური მდებარეობის გამო - 1 ქულა
- 13.6. ჩასაფრება; მოულოდნელი თავდასხმა - 1 ქულა
- 13.7. ადგილმდებარეობამ და იარაღის სიმსუბუქემ - 1 ქულა
- 13.8. ჯარის ბარგი - 1 ქულა
- 13.9. „სიმღერა როლანდზე“ და XII ს - 2 ქულა
- 13.10. ესპანეთის მარკა - 1 ქულა
- 13.11. კარის ისტორიკოსი - 1 ქულა
- 13.12. ფრანკთა სამეფო, აახენი - 2 ქულა
- 13.13. იტალია, საფრანგეთი, გერმანია - 1 ქულა

14 - სულ 17 ქულა

- 14.1 დ - 1 ქულა
- 14.2. გ - 1 ქულა
- 14.3. ბ - 1 ქულა
- 14.4. დ - 1 ქულა
- 14.5. გ - 1 ქულა
- 14.6. დ - 1 ქულა
- 14.7. გ - 1 ქულა
- 14.8. ორბელთა ამბოხი - 1 ქულა
- 14.9. აფრიდონი, ყუბასარი - 2 ქულა
- 14.10. მსახურთუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი - 3 ქულა
- 14.11. მეჭურჭლეთუხუცესი, ამირსპასალარი - 1 ქულა
- 14.12. XVIII ს-ში. ფრანგი - 2 ქულა
- 14.13. საფრანგეთში - 1 ქულა

V. პრობლემის ან მოვლენის იდენტიფიცირება

15. წყარო-ამოცნობა; სულ 5 ქულა

15.1. არაბს – 1 ქულა.

15.2. მურვან ყრუ// მერვან იბნ მუჰამედი, VIII ს. – 1 ქულა.

15.3. მირი და არჩილი – 1 ქულა.

15.4. ბიზანტია//სახელმწიფო ენა ბერძნული იყო//ეს ტერიტორია ქართულ წყაროებში ტრადიციულად საბერძნეთად იხსენიება და ა.შ.; – 2 ქულა.

ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიო ახსნა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას.